



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

27 სექტემბერი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №197

კობა ბანძელაძისთვის ანაზღაურების გარეშე შვებულების მიცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 22-ე მუხლის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ოზურგეთის მუნიციპალური კულტურის ცენტრი“-ს დირექტორს კობა ბანძელაძეს, მიეცეს ანაზღაურების გარეშე შვებულება (თხუთმეტი კალენდარული დღე) მიმდინარე წლის 27 სექტემბრიდან 12 ოქტომბრამდე.
2. „ოზურგეთის მუნიციპალური კულტურის ცენტრი“-ს დირექტორის შვებულებაში ყოფნის პერიოდში დირექტორის მოვალეობის შესრულება დაევალოს დირექტორის მოადგილეს ეკატერინე სირაძეს.
3. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ოზურგეთის მუნიციპალური კულტურის ცენტრს“.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, სიორიძის ქ.№14).
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი